საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

შალიაპინი თედორე

თ. შალიაპინი

შალიაპინი თედორე (1873-1938), რუსი მომღერალი (ბანი). დაიბადა ყაზანში. ბავშვობაში მღეროდა საეკლესიო გუნდში, გატაცებული იყო თეატრით, გამოდიოდა სტატისტად საოპერო და დრამატულ სპექტაკლებში. 1890 წლიდან ქ. უფის საოპერო დასის გუნდის მომღერალი იყო. 1892 წელს თბილისში ჩამოვიდა, რათა ბათუმში ე.წ. იტალიურ დასში მოხვედრილიყო. დასი მალე დაიშალა და თ. შალიაპინი თბილისში დაბრუნდა.

თ. შალიაპინის სასცენო მოღვაწეობა თბილისში დაიწყო. თბილისელმა მეგობრებმა ურჩიეს, მეცადინეობა დაეწყო პროფესორ დ. უსატოვთან, საიმპერატორო თეატრების ყოფილ მომღერალთან, რომელსაც თბილისში ბევრი მოწაფე ჰყავდა. პარალელურად თბილისის ოპერის თეატრში მუშაობდა. 1893–1894 წლებში საოპერო სცენაზე შეასრულა მეფისტოფელის (გუნოს „ფაუსტი“) და მეწისქვილის (დარგომიჟსკის „ალი“) პარტიები. სეზონის ბოლოს ნება დართეს დაედგა ორი ოპერა: „ჯამბაზები“ და „ფაუსტი“.

1894 წელს თ. შალიაპინმა თბილისი დატოვა. დაიწყო გასტროლები რუსეთისა და საზღვარგარეთის ქალაქებში; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1901 წელს მილანის „ლა სკალაში“ ტრიუმფალური გამოსვლა, რამაც მომღერალს მსოფლიო სახელი მოუტანა.

1910 წელს თ. შალიაპინი კვლავ ჩამოვიდა თბილისში. აქ მას გულთბილად შეხვდნენ ძველი მეგობრები, თავად კი კიდევ ერთხელ მოინახულა ეს, მომღერლის სიტყვებით, „მისთვის სასწაულმოქმედი ქალაქი“.

1922 წლიდან თ. შალიაპინი პარიზში ცხოვრობდა. გარდაიცვალა იქვე.